ეროვნული თავისუფლების გზით — პეროვნული თავისუფლებისაკენ
პეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 27 (1428) | 15-23 აგვისტო 1995 წ.

ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი ?

პოლიტიკოსთა პროგნოზები

დღეს, როცა ფაქტიურად გადაწყდა, რომ საქართველოს კვლავ ეყოლება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, თუ ვინ წამოაყენებს თავის კანდიდატურას და ვის რა ძალები დაუჭერენ მხარს. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ თვით პოლიტიკოსები. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რამოდენიმე მათგანს და ითხოვა ეპასუხა შემდეგ კითხვებზე:

1. ვინ შეიძლება იყაროს კენჭი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე?

2. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვინ არის სასურველი თქვენს მიერ დასახელებულ კანდიდატებს შორის,რომ გახდეს პრეზიდენტი?

3. ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

რუსუდან ბერიძე:

1. შევარდნაძემ და კიდევ რამდენიმე პიროვნებამ, ვისაც დღეს საზოგადოებაში იხსენიებენ, როგორც შესაძლო კანდიდატებს.

2. შევარდნაძე.

3. მე ვფიქრობ, რომ შევარდნაძე უნდა იყოს და ამიტომ მხარს მის კანდიდატურას ვუჭერ.

დავით ბერძენიშვილი

1. ე. შევარდნაძე, ჯ. პატიაშვილი, აკ. ბაქრაძე

2. აკაკი ბაქრაძე

3. არ ვიცი, არსებულ კონიუნქტურაში მირჩევნია აკაკი ბაქრაძე.

მამუკა გიორგაძე

1. დღევანელი მონაცემებით შევარდნაძე, პატიაშვილი, ბაქრაძე.

2. სასურველია ის კაცი, ვისაც ეროვნულ-პოლიტიკური ძალები მხარს დაუჭერენ.

3. ამ შემადგენლობაში (იმ კაცის გარდა, ვისაც ეროვნული პოლიტიკური ძალები მხარს დაუჭერენ) ალბათ, შევარდნაძე.

რომან გოცირიძე:



1. პრეზიდენტობის კანდიდატებად არ არის გამორიცხული რომ დაასახელონ ისეთი პირებიც, რომლებსაც არავითარი შანსი არა აქვთ (ზოგიერთ ასეთ კანდიდატს შეიძლება ჰქონდეს არაჯანსაღი ამბიცია, ზოგიერთს — ჭკუისა და რეალობის შეფასების დეფიციტი).

რაც შეეხება რეალურ კანდიდატებს, ჩემის აზრით, არის ორი: აკაკი ბაქრაძე და ედუარდ შევარდნაძე.

ყველა დანარჩენი კანდიდატი, როგორც წესი, ხმას ართმევს ან ერთს, ან მეორეს.

თუკი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ჯაბა იოსელიანი, ჯუმბერ პატიაშვილი, პანტელეიმონ გიორგაძე, ან რომელიმე სხვა ყოფილი ან ახალი ნომენკლატურის წარმომადგენელი, დააკლებს ხმებს შევარდნაძეს. არის რამდენიმე პიროვნება, რომლის მონაწილეობა ასევე გაუყოფს ხმებს აკაკი ბაქრაძეს. ჩვენ იმედი გვაქვს ამ უკანასკნელთა კეთილგონიერებისა, რომ ფუჭად არ იყარონ კენჭი და არ შეამცირონ არასოციალისტური, დემოკრატიული ეროვნული ძალების სავარაუდო კანდიდატის შანსები.

2. აკაკი ბაქრაძე.

3. თუ არ მოხდება გაყალბება და ქვეყნის გარეშე ძალების ინფორმაციული და ფინანსური ჩარევა არჩევნების პროცესში, გაიმარჯვებს, ალბათ, ბ-ნი აკაკი ბაქრაძე.

ნოდარ ნათაძე



1. ან ვინც ძლიერია, ან ვინც უპასუხისმგებლოა, ან ვინც ძალიან ძლიერი არ არის, მაგრამ ქვეყნისთვის თავის გამწირავია.

2. იმედი მაქვს, გამოჩნდება არაწითელი, პატიოსანი კაცი.

3. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ნიშნულზე ავა იმ დროისათვის ქართველი ხალხის პოლიტიკური კულტურა.

თედო პაატაშვილი:

1. ე. შევარდნაძე, ჯ. პატიაშვილი, ა. ჩიკვაიძე და ეროვნული ძალებიდან შეთანხმებული კანდიდატურა.

2. ეროვნული ძალების კანდიდატურა.

3. ჰეშმარიტად ეროვნული მოღვაწე.

ირინა სარიშვილი

1. ვისაც არ ეზარება

2. —

3. ვისაც მეტი ფული და იარაღი ექნება.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომის დადგენილება

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიული ფრაქციის დეკლარაციის შესახებ;

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი ადგენს:

ა) აღნიშნული დეკლარაციის ეროვნული კომიტეტის გარეშე და მასთან შეუთანხმებლად გამოქვეყნება ობიექტურად ეწინააღმდეგება პარტიის ინტერესებს.

ბ) გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წესდებაში პარტიის შიდა ფრაქციულობის რეგლამენტაციამდე აღნიშნული 14 — კაციანი ჯგუფის განცხადება არ შეიძლება ჩაითვალოს ფრაქციის განცხადებად.

რედაქციისაგან: გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზმა ეროვნული კომიტეტის პოლიტიკური მდივნის ბ-ნ დავით ბერძენიშვილის წინადადებით განიხილა და მიიღო შიდაპარტიული ფრაქციის ფორმირების დროებითი წესი, რითაც გამოირიცხა ფრაქციის შექმნის ინიციატორთაგან ყოველგვარი თვითნებობა. ამ უკანასკნელებმა დარბაზის მიერ მიღებული დროებითი რეგლამენტი მიიღეს როგორც სავალდებულო.

აქვე გთავაზობთ დარბაზის სხდომის დადგენილებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზის სხდომის დადგენილება

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შიდაპარტიული ფრაქციის შექმნის დროებითი რეგლამენტაციის შესახებ;

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დარბაზი ადგენს:

1) გრპ დარბაზის ან ეროვნული კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობის 1/4 —ის ფრაქციაში გაერთიანების მოთხოვნით ეროვნული კომიტეტი ადასტურებს ფრაქციის შექმნას.

2) გრპ დარბაზის ან ეროვნული კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/4-ის სიას თან უნდა ერთვოდეს შიდაპარტიული ფრაქციის შექმნის მოტივის და პოზიციის ამსახველი დოკუმენტი.

ჯილდო ტფილისის აღებისათვის

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არიან ქართველები, რომლებიც დაჯილდოებული არიან საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის. სამწუხაროდ, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი სერგო ორჯონიკიძე.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის საქმეში გამოჩენილი გულმოდგინებისათვის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა სერგო ორჯონიკიძე. რევკომის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული ჯილდო არის „აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენი №9, რომლითაც „აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის დადგენილებით გ.კ. ორჯონიკიძე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მდივანი დაჯილდოებულია ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის“.

ორდენი სპეციალურად დაამზადეს მაღალსინჯიანი (958) ოქროსაგან. მის ზურგზე რუსულად და აზერბაიჯანულად იყო ამოტვიფრული წარწერა: „აზერბაიჯანის სსრ-ის რევკომისაგან ამხ. ს. ორჯონიკიძეს ტფილისის აღებისათვის.

25.II.1921 წ.“

გაზეთი „შიდა ქართლი“ №9

პარლამენტი - მთავრობა

5 : 2

მთავრობის გუნდმა მინდორზეც დაამტკიცა თავის უპირატესობა

13 აგვისტოს „დინამოს“ ეროვნულ სტადიონზე შედგა ისტორიული მატჩი პარლამენტისა და მთავრობის გუნდებს შორის. ფეხბურთის მიმომხილველები გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ მთავრობის გუნდს რამდენიმე მიზეზის გამო:

1. პარლამენტი ქართულად სალაყბოს ნიშნავს და მოლაპარაკე (მოლაყბე) ხალხი საქმეს თავს ვერ გაართმევსო.

2. მთავრობის გუნდი დაკომპლექტებული იყო წარსულში ცნობილი ფეხბურთელებით (კახი ასათიანი, გურამ პეტრიაშვილი, დავით მუჯირი).

3. მთავრობის გუნდში თამაშობდა კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, რომელიც, როგორც კავშირების დამყარების ოსტატი პასების ჩაწოდებაში ვირტუოზი იქნებოდა. ამავე გუნდში გახლდათ ვაჭრობის მინისტრი მურთაზ ზანკალიანი, რომელიც თუ საქმე გაჭირდებოდა, მატჩს იყიდდა.

4. მთავარი არგუმენტი კი მიმომხილველებისათვის იყო ის ფაქტი, რომ მთავრობის გუნდს ამშვენებდნენ ტანის უკან ლვნაში გავარჯიშებული გელა ლანჩავა და ყარაღების მადევარი დემურ მიქაძე.

ამგვარი წინასპირობების მიუხედავად , ფაცაციას გუნდის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ პარლამენტმა მათ გამანადგურებელი ანგარიშით 5:2 მოუგო.

მაყურებელი აღფრთოვანებული უყურებდა, როგორ კოტრიალობდნენ მინდორზე ჩვენი ძვირფასი მინისტრები და მაღალი თანამდებობის პატივცემულები. ტრიბუნებთან უხვად თავმოყრილ მილიციელებს განსაკუთრებულ სიამოვნების ღიმილს გვრიდათ თუ რომელიმე პარლამენტარი ფეხს წამოუდებდა პოლიციის შეფს დემურ მიქაძეს და ეს უკანასკნელი გვარიან ბრაგვანს გაადენდა მინდორზე.

პარლამენტართაგან გოლები გაიტანეს გია გვაზავამ, გია ლომაძემ, ზურაბ ანდრიაძემ, დავით ლორთქიფანიძემ და თენგიზ დიხამინჯიამ. ცალკე აღსანიშნავია დიხამინჯიას გოლი, რომელიც ბადეში თავური დარტყმის შედეგად აღმოჩნდა, რითაც ბატონმა თენგიზმა სტადიონზეც დაამტკიცა, რომ რესპუბლიკელები თავით მუშაობენ...

მინისტრთა კაბინეტის გუნდმა ორი გოლის გაქვითვა შესძლო (გურამ პეტრიაშვილი, დავით მუჯირი). განსაკუთრებით აღსანიშნავია დამარცხებულთაგან მეკარე გელა ლანჩავას თამაში, რომელიც ოსტატურად იჭერდა ბურთს და ხელს არ უშვებდა, რაც ერთობ სიმბოლური გახლდათ, ჩვენი მთავრობა ხომ ამ ფუნქციით (დაჭერა და არგაშვება, მიღება და არგაცემა) ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

გულდასაწყვეტია,რომ პარლამენტის გუნდში არ თამაშობდა ბალანსირების პოლიტიკის ისეთი დიდოსტატი, როგორიც აკაკი ასათიანია. მას თავისუფლად შეეძლო ერთი გოლი მოწინააღმდეგის კარში გაეტანა, მეორე კი საკუთარ კარში... არც ერთი მხარის ამომრჩეველს (მაყურებელს) დასტოვებდა უკმაყოფილოს და არც მეორე მხარის ამომრჩეველს (მაყურებელს)...

მატჩის დასრულების შემდეგ მინისტრთა კაბინეტის გულშემატკივართა შორის უკმაყოფილო ხმები გაისმა. ერთმა გაგულისებულმა ქომაგმა ამოიგმინა — ეს მთავრობა ყველაფერს რომ ყიდდა, ვიცოდი, ფეხბურთის მატჩსაც თუ გაყიდდა, არ შეგონია. ამ სიტყვებს ყური მოჰკრა და დაიჯერა მატჩზე სტუმრად მყოფმა მსოფლიოს სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ, რომელმაც ამ უმსგავსობის გამო იყვირა, გადადგეს ფაცაციას მთავრობა და თავში ხელები წაიშინა. ჩვენმა კორესპონდენტმა ეს მომენტი ფირზეც დაფიქსირა.

ჩვენი სპორტულ-პოლიტიკური მიმომხილველი



სურათზე რობერტო ბაჯო: გადადგეს ფაცაციას „გუნდი“

საქართველოს პარლამენტში საქმე კარგად მიდის

რა ბრძანეთო? — იკითხავს ჩვენი გაზეთის აღშფოთებული მკითხველი — თქვენ, უკაცრავად და, რაღაც მოლანდებები ხომ არ დაგეწყოთ! რრდის აქეთ იყო, ამ პარლამენტს-ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო გაეკეთებინოს. ცარიელ-ლაყბობის მეტი მაგათგან არაფერი გაგვიგონია. თუ იმ შეჩვენებულმა, კრემლის მოციქულმა შევარდნაძემ მოგისყიდათ და ახლა გინდათ ხალხს ნაცარი შეაყაროთ თვალშიო.

ამ წარმოსახვით მკითხველის დაშოშმინება, მართალი გითხრათ,ცოტა გაგვიჭირდება. ვისთვისაც შევარდნაძე „მაინც აგენტია“, იმისთვის მხოლოდ ერთადერთი ლოგიკა მოქმედებს: რაც შევარდნაძეს უნდა — ის საქართველოსთვის ცუდია! ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურს აშკარად უნდა პარლამენტში კონსტიტუციის (ან საკონსტიტუციო კანონის) მიღება, მაშასადამე, “ჰეშმარიტი ეროვნული ძალები“ ამას უნდა ეწინააღმდეგებოდნენ! ასეთი განწყობა, სამწუხაროდ, ფრიად გავრცელებულია, მათი შეხედულებანი მთლიანად „მჯერა-არ მჯერას“ პრინციპითაა ფორმირებული. ისინი ალალად ცდილობენ გაარკვიონ: უნდა თუ არა ამ კაცს (შევარდნაძეს) ქვეყნისთვის სიკეთე და იმას კი აღარ უფიქრდებიან, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი ქართველი,თუნდაც ცხრაგზის აგენტი, ვისაც შეგნებულად სურდეს საქართველოს დანგრევა-გაპარტახება და ჩვენი დღევანდელი გაჭირვების შემყურე სიხარულით ხელებს იფშვნეტდეს: დედა, ეს რა ვნახე, ამას რას მოვესწარიო!... ასეთი პათოლოგიური პიროვნება მარტოოდენ ჰვადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი თუ იქნება. სხვა საკითხია, რომ საუკეთესო სურვილები თავისთავად არაფერს ნიშნავს. კაცს შეიძლება გულით გინდოდეს სიკეთის თესვა,ცდილობდე კიდეც უშურველად, მაგრამ სინამდვილეში ბოროტი ნაყოფი მოიწიო. როგორც იტყვიან, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზაც სულ კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული.

ამას იმიტომ მოგახსენებთ,რომ ის, რაც დღეს საქართველოს პარლამენტში ხდება, შეუძლებელია საღად გავიაზროთ, თუ ყოველგვარ აკვიატებულ იჭვებს არ მოვიცილებთ. რაც ზემოთ ვთქვი, არც შევარდნაძის აპოლოგიაა და არც მისი ოპონენტების კრიტიკა. უბრალოდ მავანთა შიშები: რახან პარლამენტში ხმას აძლევენ და სკამებს არ ამტვრევენ, ეს ვითომდა პატიოსანი რესპუბლიკელებიც ხომ არ მიეყიდნენ შევარდნაძესო— სრულიად უსაფუძვლოა. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ, ყველა იმ ოპოზიციურ პარტიაზე, რომელთა მხარდაჭერის გარეშე პარლამენტში წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტის ვერცერთი პუნქტი ვერ გავიდოდა. <u>აქ მთავარია ის, თუ კონკრეტულად რა მიიღება, რამდენად სასარგებლოა ქვეყნისთვის ამა თუ იმ პუნქტის შეტანა კონსტიტუციაში.</u> აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისი გამოტანილი თუ „შემოგდებულია“ იგი.მოკლედ, მთავარია „რა“ და არა „ვისი“. ელემენტარული აქსიომაა: სახელმწიფოს კანონები უნდა მართავდნენ და არა „შოპენის მოყვარული მესიები“, „ბადიები“, „ბაბოჩკიანები“ თუ „კავკასიის მანათობლები“. მართალია,თუნდაც იდეალური კანონის მიღება მხოლოდ ნახევარი საქმეა, მაგრამ სულ არარაობას „ცალუღელი ხარიც“ ყოველთვის ჯობია.

შუაგული დამყაყების („ზასტოის“) დროს,საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ერთი ღირსშესანიშნავი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც შემდგომ რეფრენად გასდევდა გაზეთ „კომუნისტის“ მეწინავე პუბლიკაციებს: „საქართველოში საქმე კარგად მიდის“. ეს ფრაზა, როგორც ყველა იმდროინდელი ლოზუნგი, თავის თავში ირონიულ ინტერპრეტაციასაც შეიცავდა, ანუ იგულისხმებოდა,რომ „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“. დღეს,საპარლამენტო ორომტრიალის შემყურე, ისედაც დაღლილი და ნერვებაშლილი კაცი ფიქრობს: მეტი არაა ჩემი მტერი,თქვენ ეს ქვეყანა ვერ ააშენოთო. ოღონდ ამ გარეგნულ ფაცი-ფუცში, ამ ხმაურიან აჟიოტაჟში მას უჭირს გააჩიოს ის მართლაც დამაიმედებელი ტენდენციები, ძალიან მძიმედ, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც რომ იკიდებს ფეხს.

<u>ესაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი.</u> საკონსტიტუციო ვნებათაღელვაც სწორედ ამის ნათელი მაგალითია. აქ იმუშავა „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპმა: სახელმწიფოს მეთაური, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები და სხვადასხვა ოპოზიციური დაჯგუფებებიც რიგი ობიექტური, სუბიექტური, უანგარო თუ ანგარებიანი ინტერესების გადახლართვის წყალობით მივიდნენ იმ ზღვარამდე, როცა ურთიერთკომპრომისი უბრალოდ აუცილებელი გახდა და როცა ამ კომპრომისებით ქვეყანა მხოლოდ იგებს (შევარდნაძე, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ოპოზიციონერთა თუნდაც აბსოლუტურად კანონიერ მოთხოვნებსაც არად აგდებდა, ახლა პირდაპირ კონსტრუქციულობის განსახიერებაა და ოღონდ მოდით, დავილაპარაკოთ და ყველაფერზე შევთანხმდებითო — იხვეწება). ყოველ შემთხვევაში, პროექტის ის პუნქტები, რომლებიც შევარდნაძის და ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის შეთანხმებით იქნა მიღებული, აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია იმასთან შედარებით,რაც აქამდე გვქონდა. მოკლედ ის,რაც იქნება,იმაზე ბევრად უკეთესია, რაც იყო და რაც დღეს არის. ეს კი უკვე რეალური წარმატებაა. თანაც, წარმატება ყველასათვის.



რეზო ახვლედიანი

საგზაო პოლიციის პრობლემები

10 აგვისტოს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან კენჭაძემ. და მისმა მოადგილეებმა ბესო გოგიშვილმა და გიორგი ცინცაძემ პრეს-კონფერენცია გამართეს.

საგზაო პოლიციის სამმართველოში გამართული პრეს-კონფერენცია საგზაო პოლიციის საჭირბოროტო საკითხებს მიეძღვნა. მოგეხსენებათ, გარკვეულწილად პოლიცია ქვეყნის სავიზიტო ბარათია.ჩვენი პოლიციის მაგალითზე თავს ნამდვილად ვერავის მოვაწონებთ, თუმცა, ქუჩაში მდგომი პოლიციელი ჩვენთან სტაჟირებაზე არც კამბოჯიდან გამოუგზავნიათ და არც მარსიდან,მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ფაქტია: როგორი საზოგადოებაა, ისეთიც პოლიციელია. სამმართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა ცდილობს ეს სურათი შეცვალოს. უკვე 203 თანამშრომელი განთავისუფლებულია სამსახურიდან, 279 კი დასჯილი. მალე დაიწყება ატესტაცია და მოხდება „კადრების წმენდა“. ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს,რომ თანამშრომლები უმაღლესი განათლებით ჰყავდეს. “სხვა თუ არაფერი, ფორმის ტარებას მაინც შეეჩვევიან, — ბრძანა გიორგი ცინცაძემ — კადრები, ყველას მოგეხსენებათ როგორიცაა. თუ ვინმე უტვინოა საქართველოში, ყველას საგზაო პოლიციაში უნდა მუშაობა. ეს კი ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა. ჩვენი დიდი სურვილია პოლიციის აკადემიაში სპეციალური ფაკულტეტი გაიხსნას და საგზაო პოლიცია პროფესიონალებით დაკომპლექტდეს“

დღეს, როდესაც ვინ იცის, რა პროფესიის კაცს აღარ აცვია ფორმა, რომლისთვისაც პოლიციის პრესტიჟი არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ფულის შოვნის ერთ-ერთი უმოკლესი გზაა, სამმართველოში მიმდინარე რეორგანიზაცია საგზაო პოლიციის შელანძღული იმიჯის აღსადგენად ნამდვილად მოსწრებაა.

“ჩვენ ჩვენი გულისტკივილი გვინდა გაგიზიაროთ — ბრძანა ბატონმა ლევან კენჭაძემ, — მოგეხსენებათ, გატეხილი სახელის აღდგენას დიდი დრო უნდა. გვინდა ჩვენს მუშაობაში მხოლოდ მანკიერი მხარე არ დაინახოთ, არამედ რაც კარგს ვაკეთებთ, ისიც იყოს შემჩნეული“.

ბატონმა ბესო გოგიშვილმა სტატისტიკური მონაცემები გაგვაცნო. მართლაც, რომ სავალალო მდგომარეობაა გზებზე. გაიზარდა ავტოავარიებში დაღუპულ ადამიანთა რიცხვი, გაუხსნელია 186 საგზაო შემთხვევა, თუმცა, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 19%-ით ნაკლებია.საქართველოში საომარი ვითარების დროს, სრულიად ბუნებრივი „თოფიანი კაცის“ შიშით ავტომანქანების მოძრაობა თითქმის შეწყვეტილი იყო, — შესაბამისად — ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვიც. დღეს კი მდგომარეობა სტაბილური ხდება, მოძრაობა გზებზე აღდგა და 1991 წლის დონეს მიუახლოვდა. ლოგიკურია რომ უბედური შემთხვევების რიცხვმაც იმატა. დანაშაულის ნახევარზე მეტი მთვრალი მძღოლების კისერზეა, მაგრამ გარეშე პირობებიც არსებობს. ცუდი, მოუვლელი გზები, უსინათლობა ქუჩაში ნამდვილად ცუდ სამსახურს უწევს მძღოლებს. თუმცა რა დასამალია,რომ ჩვენი მძღოლები ადრე თუ თავს არ იკლავდნენ მოძრაობის წესების დაცვით, დღეს ლამის პირად შეურაცხყოფად იღებენ ინსპექტორის მიერ წესრიგისკენ მითითებას. თუ „ბაგაჟნიკში“ იარაღი გაქვს, ვისი რა საქმეა, “კირპიჩზე“ გაიარე თუ არა — მართვის მოწმობა თუ ჩამოგართვეს, არც ეს არის დიდი უბედურება და როგორც პრეს-კონფერენციაზე ითქვა, დღეს თითქმის ყოველი მეორე მძღოლი მართვის მოწმობის გარეშე უზის საჭეს.

ძალიან ბევრი პრობლემები აქვთ საგზაო პოლიციაში სამუშაო აღჭურვილობასთან. დაკავშირებით. ფული არ არის,ტექნიკაზე საუბარიც ზედმეტია. რაიონის საგუშაგოებს რომ დაკავშირებოდნენ, ავტობუსის მძღოლებს ატანდნენ წერილს (!). ახლახან საგზაო პოლიციის ხელისშემწყობი ფონდი შეიქმნა. ამ ფონდის წყალობით 900 პოლიციელი ფორმაში გამოეწყობა და „ჟიგულის“ ტიპის ხუთი ავტომანქანა თურქეთიდან (!) შემოვა. დამყარდება კავშირი რაიონულ საგუშაგოებთან. მოკლედ, საგზაო პოლიცია ცოტათი მაინც დაემსგავსება საგზაო პოლიციას.

პრეს-კონფერენციაზე მანქანების ტექნიკურ დათვალიერებაზეც იყო საუბარი. დიაგნოსტიკის ცენტრს 15 წლის განმავლობაში ვაშენებდით, — გვითხრა ბ-ნმა ლევანმა — ბოლოს უცხოელების დახმარებით დავამთავრეთ. მაგრამ ბევრს გულზე არ ეხატება ეს სისტემა, გახსოვთ ადრე როგორ ხდებოდა ტექ-დათვალიერება,ყველაზე კარგ შემთხვევაში მანქანის ფერს და ნომერს შეამოწმებდნენ თუ ემთხვეოდა პასპორტის მონაცემებს, დღეს კი მთლიანი შემოწმება ხდება.

ბატონმა ლევანმა გულისტკივილი გამოთქვა იმ ბრალდებების გამო, რომელიც საგზაო პოლიციის გენერალური პროკურორის მოადგილემ წაუყენა — ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ყველა ცოდვაში ჩვენ ნუ დაგვდებენ ბრალს — ბრძანა ბატონმა ლევანმა. ჩვენი მუშაობა კოლეგიამ დადებითად შეაფასა, პრესაში კი გაჩნდა ის ბრალდებები, რომლებსაც არ ვიმსახურებთ. მაგალითად, გვაბრალებენ რომ საქართველოდან გადის უკონტროლო ტვირთი. მეორე აბზაცში წერია,რომ ავტოინსპექტორები უმიზეზოდ აჩერებენ ტრანსპორტს (?). იმაშიც ბრალს გვდებენ, რატომ არ ვპოულობთ დაკარგულ მანქანებს ტექ-დათვალიერების დროს. რომელი ჭკუათმყოფელი მოიყვანს მანქანას და იტყვის, ჩემი არაა,მოვიპარეო. როდესაც დამთავრდება ტექ-დათვალიერება, იმ მანქანებს, რომელთაც არ გაუვლიათ ეს პროცესი, არ ექნებათ სპეციალური აღნიშვნა და მაშინ ადვილად მოხდება საეჭვო მანქანების დაკავება.

მოკლედ, ავად თუ კარგად, საგზაო პოლიცია მუშაობს. ფორმიანი პოლიციელის დანახვა ვინმეს სიხარულს თუ გამოიწვევდა, ადრე ამის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო, მაგრამ რას იზამ, „ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია“...

ეხლა კი რამდენიმე მეგობრული რჩევა ავტომოყვარულებს: თქვენი გაჩერება ყველა ფორმიანს შეუძლია, მაგრამ მართვის მოწმობის ჩამორთმევის უფლება მხოლოდ საგზაო პოლიციის თანამშრომელს აქვს, რომელსაც შესაბამისი საბუთი გულზე აქვს დამაგრებული. ასე-რომ, წინასწარ ფულს ჯიბეში ნუ მოიძევთ, ჯერ დააკვირდით ვინ გაგაჩერათ. თუ უხეშად მოგმართეს, ან ფული გამოგძალეს, მიმართეთ საგზაო პოლიციის სამმართველოს, ოღონდ შემთხვევის ადგილზე ოქმის შედგენა არ დაგავიწყდეთ. და კიდევ ერთი, ეს უკვე ბ-ნი ლევანის პირადი თხოვნაა, შეიკარით უსაფრთხოების ღვედები. დღეს ამის გულისთვის არ დაგაჯარიმებენ, მაგრამ ჯობია საკუთარ თავს თვითონ გაუფრთხილდეთ. ეს ღვედები 30% ამცირებს სიკვდილიანობის შემთხვევებს ავტოავარიების დროს, ხოლო შემთხვევებისგან არავინ არა ვართ დაზღვეულნი.

ლელა ჯაფარიძე

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

სუკ-ი

* გაგრძელება

ამასთან ერთად სპეცსამსახური №2 თვალყურს ადევნებს საზღვარგარეთ მყოფ ყველა საბჭოთა მოქალაქეს. ნებისმიერ საბჭოთა საელჩოში მის თანამშრომლებს ყველაზე მეტად №2 სპეცსამსახურის თანამშრომლის ეშინიათ. იგი მუდმივად უთვალთვალებს ყველას — ელჩიდან დაწყებული მიყოლებით ქვევით თანამდებობრივ კიბეზე,ცდილობს გამოიცნოს რაიმე „მავნე ნიშნები". საბჭოთა ქვეშევრდომები, ისეთები, როგორიცაა ჟურნალისტები, ვაჭრობის დარგის წარმომადგენლები, აეროფლოტის მოსამსახურენი და ბევრი სხვა საელჩოს გარეთ მომუშავე, ასევე ემორჩილებიან მას. ყოველი მათგანისათვის ცნობილია, რომ დაზვერვის თანამშრომლის მიერ მიცემულ ცუდ დახასიათებას მოჰყვება მისი უკან, სსრკ-ში გამოხმობა და კარიერის დანგრევა.

დეზინფორმაციის განყოფილების (განყოფილება „A") ფუნქციაა მოიფიქროს საიდუმლო გეგმები და კამპანიები ზეგავლენის მოსახდენად საზღვარგარეთის მთავრობების გადაწყვეტილებებზე; აგრეთვე, ჩაატაროს ოპერაციები,რომელთა მიზანია საზღვარგარეთის საზოგადოებათა დემორალიზაცია, ცილისწამება საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილ ცალკეულ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებზე. მასთან გარბიან დახმარებისათვის ყოველთვის, როცა აუცილებელია დაფარონ სუკ-ის ოპერაციის ჩაფუშვით გამოწვეული განსაკუთრებით არასასიამოვნო ვითარება. ასევე, იგი ხელს უწყობს საბჭოთა კავშირში ჩასულ უცხოელების გასულელებას. განყოფილება „A" ზოგიერთ ოპერაციას წარმართავს დამოუკიდებლად,თავისი არალეგალური აგენტებისა და თანამშრომლების მეშვეობით, მაგრამ ოპერაციების უმრავლესობა მთლიანად სუკ-ის და საბჭოთა მთავრობის საქმეა. დეზინფორმაციის განყოფილება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებაა სუკ-ში 50-იანი წლების ბოლოდან.

აღმასრულებელი განყოფილება (განყოფილება „B"). არც ერთი განყოფილების დაფარვას უცხო თვალისაგან ისე არ ცდილობს სუკ-ი, როგორც ამ განყოფილებისა. ეს ზესაიდუმლო განყოფილება პასუხისმგებელია საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ყველა პოლიტიკურ მკვლელობაზე, ადამიანთა გატაცებასა და საბოტაჟზე — მოქმედებებზე, რომელთაც სუკ-ის ენაზე „სველ საქმეს" უწოდებენ იმის გამო, რომ ამ დროს ადამიანის სისხლი იღვრება. ადრე მეცამეტე განყოფილების ან ქვეგანყოფილება „Ф"-ის სახელით ცნობილი განყოფილება 1969 წელს გაფართოვდა და დაერქვა განყოფილება „B". იმ დროიდან მოყოლებული ყურადღება ექცეოდა საბოტირების უნარის განვითარებას უცხოეთსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საშუალებების და სხვა ნერვული ცენტრების მიერ მშვიდობიან დროს. ამის მიზანია— მისცეს შესაძლებლობა საბჭოთა ხელმძღვანელებს შებორკოს დასავლეთის ქვეყნები შიგა ქაოსის შექმნით საერთაშორისო კრიზისის დროს მომავალში.

განყოფილების თანამშრომლები ყოველ მსხვილ საბჭოთა საელჩოში არიან, სადაც ისინი ქმნიან აგენტურულ ქსელს და მართავენ მას. განყოფილება ახდენს თავისი არალეგალური აგენტების შეგზავნას საზღვარგარეთის ქვეყნებში და ასწავლის სუკ-ის თანამშრომლებს შეასრულონ ისეთი დავალებები, როგორიცაა მკვლელობა და საბოტაჟი. გერმანიაში, ირლანდიაში და მექსიკაში განყოფილებამ გამოიყენა პროფესიონალი განგსტერები; არ არის გამორიცხული,რომ ეს სხვა ქვეყნებშიც კეთდებოდა. ყველაფერი,რაც შეეხება განყოფილების ბოლოდროინდელ ოპერაციებს და მისი წინამორბედების სისხლიან ისტორიებს, აღწერილია XIII თავში.

როგორი დიდიც არ უნდა იყოს ზემოთაღწერილი განყოფილებების მნიშვნელობა, ყველაზე მძლავრი დარტყმითი ძალა პირველი მთავარი სამმართველოსი მაინც თავმოყრილია მის ათ გეოგრაფიულ განყოფილებაში. უდიდესი ნაწილი სუკ-ის იმ თანამშრომლებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის გარეთ შეგვხდებათ,მიეკუთვნება რომელიმეს ამ განყოფილებებიდან. ისინი არიან სუკ-ის ოპერაციების უმრავლესობის შემსრულებლები საზღვარგარეთ. ყოველ განყოფილებას აქვს მოღვაწეობის განსაზღვრული გეოგრაფიული არე.

1 განყოფილება — შეერთებული შტატები და კანადა.

მე-2 განყოფილება — ლათი-

გაგრძელება მე-4 გვ.

* დასაწყისი იხ. №26

კოდალა ხეს უკაკუნებს და ტოროლა ცაში გალობს...

ახალგამომცხვარმა სოციალისტურმა პარტიამ, რომლის თავმჯდომარეა ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილი ვახტანგ რჩეულიშვილი (იგივე პარლამენტის ვიცე-სპიკერი), თავის მორიგ შეკრებაზე ზარზეიმით აუწყა ქვეყანას, რომ ამ პარტიის ემბლემად არჩეული იქნა ფრთოსან-ნისკარტიანი ამხანაგი კოდალა. მოტივი ამ ფრინველის პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანისა ყოფილა ის,რომ თურმე კოდალა, ისევე როგორც სოციალისტური პარტია, საზოგადოებაში თამაშობს სანიტრის როლს, ანადგურებს ბოროტ არსებებს (ჭია-ღუებს და სხვა მტრებს). პარტიისა და კოდალას მიზანი თურმე ერთნაირი ყოფილა — გაულიტოს მოწინააღმდეგენი.

გული კი გვწყდება ესოდენ კოლორიტული ფრინველის სოციალისტურ პარტიაში გაწევრიანების გამო, მაგრამ რას იზამ, ისტორიაში უარესიც მომხდარა. ცხენებზე ამხედრებულ რუს „ოპრიჩნიკებს" მგლის თავი და ცოცხიც (იგივე მწმენდელი) კი უქცევიათ „პარტიულ" სიმბოლოდ.

მომავალი სოციალისტური პარტიის ორიენტაციის ახლადშესაქმნელ პარტიებს ვთხოვთ დაინდონ ფრინველები, დაე, კოდალამ ხეს უკაკუნოს, ტოროლამ კი ცაში იგალობოს...

ზურა მეტრეველი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს,
ტელე-რადიო დეპარტამენტს, გაზეთებს: „საქართველოს", "საქართველოს რესპუბლიკას", „რეზონანს", „დრონს", „სარანგს", „ზესტაფონის მოამბეს"

ზესტაფონის რაიონში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს

მიმართვა

ჩვენთვის ცნობილი გახდა მოსკოვის რუსულ-ქართული ბანკის „РГБРР" დაინტერესება ისეთი მძლავრი საწარმოთი, როგორიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა. არაოფიციალური წყაროებიდან ისიც ვიცით, რომ ამ ბანკის უკან დგანან რუსეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები. ჩვენ გვესმის უცხოური ინვესტიციების სიკეთე, რაც ჩვენი ბევრი გაჩერებული საწარმოსათვის მისაღები და სასარგებლო იქნებოდა. ფ.შ. ქარხნის კომპეტენტური სამსახურების მონაცემებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ ქარხანას აქვს ყველა საშუალება და შესაძლებლობა მართვის ცენტრი არ გადაიტანოს მოსკოვში და ჩვენი ხელისუფლების გულგრილობის პირობებშიც კი დიდ მოგებას აძლევს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, როგორც იმერეთის რეგიონში, ისე რესპუბლიკის მთავრობის მაღალი რანგის ჩინოსანთა ნაწილი დაინტერესებულია ზემოთხსენებული ბანკის შემოთავაზებული შეუსრულებადი პირობების მიღებით, რაც იძულებულებს გვხდის ყოველივე ამის მიზეზი არა წმინდა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სარჩულში ვეძებოთ.

მოვითხოვთ ხელისუფლების ეს ნაბიჯი განხილულ იქნას პარლამენტში და მიეცეს მას სათანადო შეფასება.

ხელს აწერენ:

მერაბ კოსტავას საზოგადოება	(მაღრაძე)
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	(სახვაძე)
რესპუბლიკური პარტია	(ბიბილაშვილი)
ქრისტიანულ - დემოკრატიული კავშირი	(ღამბაშიძე)
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია	(აბჟანდაძე)
ტრადიციონალისტთა კავშირი	(ხუსკივაძე)
დემოკრატიული პარტია	(თავაძე)

ხელს არ აწერს

მოქალაქეთა კავშირი	(გორგოძე)

პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე **დოლონაძე**

მე-3 გვერდიდან

ნური ამერიკა.

მე-3 განყოფილება — დიდი ბრიტანეთი,ავსტრალია,ახალი ზელანდია და სკანდინავიის ქვეყნები.

მე-4 განყოფილება — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,ავსტრია.

მე-5 განყოფილება — საფრანგეთი, იტალია,ესპანეთი, ნიდერლანდები,ბელგია, ლუქსემბურგი და ირლანდია.

მე-6 განყოფილება — ჩინეთი, ჩრდილოეთ ვიეტნამი,ჩრდილოეთ კორეა.

მე-7 განყოფილება — იაპონია,ინდოეთი,ინდონეზია,ფილიპინები და აზიის დანარჩენი ნაწილი.

მე-8 განყოფილება — არაბული ქვეყნები, იუგოსლავია, თურქეთი,საბერძნეთი,ირანი, ავღანეთი და ალბანეთი.

მე-9 განყოფილება — ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე აფრიკული ქვეყნები.

მე-10 განყოფილება — ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე აფრიკული ქვეყნები.

პირველი და ყველა სხვა გეოგრაფიული განყოფილების ამოცანები ერთმანეთის მსგავსია. პირველი განყოფილება ცენტრის მეშვეობით ხელმძღვანელობს,ამოწმებს და აკომპლექტებს სუკ-ის „ლეგალური“ რეზიდენტურების შტატებს: საბჭოთა საელჩოში ვაშინგტონში, საბჭოთა დელეგაციებისა — გაეროსთან ნიუ-იორკში, საელჩოსთან ოტავაში და საკონსულოსთან სან-ფრანცისკოში. იგი პასუხისმგებელია ყველა არალეგალურ აგენტზე, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთ ამერიკაში,იმ აგენტების გამოკლებით, რომელთაც აღმასრულებელი განყოფილება და დეზინფორმაციის განყოფილება აგზავნის განსაკუთრებული დავალებებით. ეს განყოფილება დიდ ენერგიას ხარჯავს ამერიკის სახელმწიფო მოსამსახურეთა, ბიზნესმენების, სტუდენტების, პროფესორების, მეცნიერების, ჟურნალისტების და ტურისტების მოსყიდვაზე ყველგან, სადაც კი იმყოფებიან ისინი, იქნება ეს შეერთებულ შტატებში, თუ მის გარეთ. პირველი განყოფილება ხელმძღვანელობს, აგრეთვე, შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს,რომლებსაც ანხორციელებს კომუნისტური ფრონტის საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. განყოფილებაა მთლიანად პასუხისმგებელი ჯაშუშების ჩანერგვაზე აშშ-ს მთავრობაში; გავლენიანი აგენტების ჩასმაზე კონგრესში,პრესაში, საქმიან მუშა წრეებში, უნივერსიტეტებში; ზიანის მიყენებაზე აშშ ინტერესებისათვის მთელს მსოფლიოში. ყველა სხვა გეოგრაფიული განყოფილება, მსგავსად ზემოაღნიშნულისა, პასუხს აგებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებზე, რომლებიც მათ სამიზნეს წარმოადგენს.

პირველი მთავარი სამმართველოს მე-11 განყოფილებას, რომელიც ადრე საკონსულტაციოს სახელწოდებით იყო ცნობილი, ყოველდღიური ურთიერთობა აქვს კუბის და აღმოსავლეთევროპელი დამქაშების საიდუმლო სამსახურებთან. დაახლოებით 110 მისი თანამშრომელი იმყოფება ჰავანის,აღმოსავლეთ ბერლინის,ვარშავის,პრაღის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის და სოფიის დაზვერვების შტაბ-ბინაში. რუსები,რომელთაც ჩეხები და პოლონელები „ძიებს“ ეძახიან, ინფორმაციას აძლევენ ცენტრს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რაც კი ხდება დამქაშების ორგანიზაციებში და უგზავნიან მას ყველა მოხსენების ასლს, რომელსაც რაიმე ინტერესი გააჩნია. ამავდროულადისინი ფარულად მუშაობენ იმ აგენტებთან, რომლებიც გადაბირებული ჰყავს სუკ-ს სატელიტი ქვეყნების დაზვერვების თანამშრომელთა რიგებიდან. დასავლეთის ქვეყნებში სუკ-ის დავალების შესასრულებლად ზოგჯერ ხდება სამოქალაქო პირების გადაბირება ამ ქვეყნების მოსახლეობიდან.

მე-12 განყოფილებას ხშირად უწოდებენ შირმას იმ მიზეზით,რომ სუკ-ის თანამშრომლებს იგი განათავსებს საბჭოთა სამთავრობო დაწესებულებებში, სადაც მათ შესანიღბად აძლევენ სამუშაოს. განყოფილება ორგანიზაციას უკეთებს,აგრეთვე, სუკ-ის თანამშრომლებისათვის მოგზაურობებს ან მათ ყოფნას საზღვარგარეთ დიპლომატების, ჟურნალისტების, ვაჭრობის დარგის წარმომადგენლების, რელიგიის მსახურების ან საერთაშორისო კონფერენციების დელეგატების სახით. სუკ-ს თუ წამოეჭრება საჭიროება სამხედრო ან სხვა სამთავრობო სამინისტროს მხრიდან განსაკუთრებული სახის მომსახურებაში, განყოფილება ასეთ სამუშაოსაც ასრულებს.

მე-13 განყოფილება პასუხისმგებელია კავშირისათვის რეზიდენტურებთან, საზღვარგარეთ მყოფ თანამშრომლებთან და აგენტებთან; ახდენს ცენტრიდან გაგზავნილი მოხსენებების დაშიფვრას, ხოლო საზღვარგარეთიდან მიღებულის — გაშიფვრას. ყველა მათ მიერ გამოგონილი კოდი და სიგნალი ხშირად ძალიან რომანტიულია. ფრანკ კლიფტონ ბოსარდს,თავის დროზე ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს, რომელიც სუკ-მა 1961 წელს გადაიბირა, შეთანხმებულ რიცხვებში ღამის საათებში უნდა ესმინა რადიოსათვის. ინსტრუქციებს იგი იღებდა კოდით, რომელსაც საფუძვლად ედო ხუთი მელოდია: „ვოლგელი ბურლაკების სიმღერა“, „გედების ტბა“, „მოსკოვური საღამოები“, „ცეკვა ხმლებით“ და „კალინკა“. ამერიკელ ჯეიმს ალენს, რომელმაც სუკ-ში იმსახურა ათი წელი, ჰქონდა ინსტრუქციები ისეთი შემთხვევისთვისაც, თუ წარმოიშვებოდა საგანგებო სიტუაცია და მოუხდებოდა ქვეყნიდან გაქცევა. ანონიმურ სატელეფონო ზარს მისთვის უნდა გადაეცა სიგნალი ასეთი სიტყვებით: „როცა ღრმა მეწამულით შეიმოსება ბაღის ნამძინარევი კედლები...“

მე-14 განყოფილება პასუხისმგებელია ოპერაციების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. სამმართველოს, რომელიც განაგებს საზღვარგარეთის ოპერაციებს,იგი ამარაგებს აუცილებელი ყალბი პასპორტებით და დოკუმენტებით, სიმპათიკური მელნით (უფერული სითხეა, რომელსაც იყენებენ საიდუმლო მიმოწერაში — რედ.), ადამიანის მწყობრიდან გამომყვანი ყოველგვარი ქიმიური პრეპარატითა და სხვა ტექნიკური მოწყობილობებით. სპეციალისტები ამ განყოფილებიდან იგზავნებიან სამუშაოდ საბჭოთა საელჩოებში იმისათვის,რომ მოემსახურონ კავშირგაბმულობის ადგილობრივი ხაზებით წარმოებული საუბრების ფარულად ყურისგდებაში, და აგრეთვე, რეზიდენტურებს გაუწიონ ტექნიკური ხელშეწყობა.

მე-15 განყოფილება აღგენს ოპერაციების დოსიეს და განაგებს პირველი მთავარი სამმართველოს არქივს. რამდენადაც მიმოქცევაში ჩართულია საქაღალდეების შეზღუდული რიცხვი, მე-15 განყოფილება წარმოადგენს ერთადერთ ადგილს, სადაც არის საზღვარგარეთ შესრულებული ოპერაციების ანგარიშების სრული კომპლექტი.

მე-16 განყოფილება ასრულებს ჩვეულებრივ საკადრო ფუნქციებს და ახდენს სავარაუდო თანამშრომლების გადაბირებას პირველ განყოფილებაში. ამ კანდიდატების უმრავლესობის შერჩევა ხდება მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა და მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტების სტუდენტთა რიგებიდან. გასულ წლებში სტუდენტების მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვი ამბობდა უარს სუკ-ის რიგებში შესვლაზე, რადგან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო ასეთ მაღალ ხელფასსა და პრივილეგიებზე საბჭოთა კავშირში ოცნება. მაგრამ ბოლო დროს დადის ხმები, რომ სულ უფრო იზრდება რიცხვი განათლებული ახალგაზრდებისა, რომელთაც ზიზღის განცდა გაუჩნდათ სუკ-ის მიმართ, და ამ უკანასკნელს უკვე იმედი აღარა აქვს,რომ ისინი ავტომატურად დათანხმდებიან გადაბირებაზე.

მეორე მთავარი სამმართველო

მეორე მთავარი სამმართველოს საქმიანობა ზოგად პლანში — ესაა კონტროლი როგორც საბჭოთა ადამიანებზე, ისევე უცხოელებზე თვით საბჭოთა კავშირში. მიუხედავად იმისა,რომ ზოგიერთი მისი ფუნქცია გადაეცა ახალ, მეხუთე მთავარ სამმართველოს,იგი ჯერ ისევ თვითონ ზიდავს შიგარეპრესიების ტვირთის უდიდეს ნაწილს. სამმართველო შედგება თორმეტნომრიანი განყოფილებისაგან, პოლიტიკური უსაფრთხოების სამსახურისაგან, სამრეწველო უსაფრთხოების სამმართველოსა და ტექნიკური დახმარების ჯგუფისაგან.

თორმეტიდან ექვსი განყოფილება ასრულებს ორმაგ დავალებას: აკონტროლებს უცხოელი დიპლომატების საქმიანობას და უარს ეუბნება მათ საბჭოთა მოქალაქეებთან კავშირებზე არასაკმარისი დასაბუთების შემთხვევაში. მათი დავალებები ქვეყნების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

პირველი განყოფილება — შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა;

მე-2 განყოფილება — დიდი ბრიტანეთი;

მე-3 განყოფილება — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრია და სკანდინავიის ქვეყნები;

მე-4 განყოფილება — დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა სხვა ხალხი;

მე-5 განყოფილება — არაევროპული ქვეყნები, რომელთაც სუკ-ი განვითარებულად მიიჩნევს;

მე-6 განყოფილება — არაევროპული ქვეყნები, რომელთაც სუკ-ი სუსტად განვითარებულად მიიჩნევს.

საკმარისია მხოლოდ ერთი თვალის გადავლება იმ საშუალებებზე, რომელსაც ფლობს პირველი განყოფილება, რომ გავიგოთ, რამდენად თანმიმდევრულია სუკ-ი უცხოელი დიპლომატების დევნაში. განყოფილების პირად შემადგენლობაში შედიან: უფროსი, ორი მოადგილე, დაახლოებით ორმოცდაათი შტატიანი თანამშრომელი, გადამბირებლები, აგენტების დაზვერვით დაკავებული თანამშრომლები, აქტიური რეზერვისტების მთელი კორპუსი და სამასამდე პროფესიონალი მეძებარი, რომლებიც ოპერატიული სამმართველოს ხარჯზე იმყოფებიან. სამმართველოს შტაბ-ბინა დამალულია ხუთსართულიან შენობაში, რომელიც წააგავს საწყობს და დაცილებულია ნახევარი მილით შეერთებული შტატების საელჩოდან. განყოფილების განკარგულებაშია, ასევე, ბინები, სადაც ცდილობენ შე[illegible]ლები და დაარწმუნონ ისინი იმაში, თითქოს იმყოფებიან სრულიად ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქის ბინაში.

განყოფილება ხუთი ქვეგანყოფილებისაგან შედგება. პირველი ქვეგანყოფილება დასაქმებულია, პრაქტიკულად, აშშ საელჩოს თანამშრომლების გადაბირებით; მეორე ქვეგანყოფილება მიისწრაფვის გაანეიტრალოს საელჩოდან გამომავალი ნებისმიერი სადაზვერვო ოპერაცია; მესამე ქვეგანყოფილებაში ხდება ამოცნობა, გამოძიება, დაკითხვა და მუდმივი დოსიების შედგენა ყველა საბჭოთა მოქალაქეზე, რომელთაც ოდესმე ჰქონია კავშირი დამყარებული ამერიკელებთან საბჭოთა კავშირში, მეოთხე ქვეგანყოფილება ცდილობს წინასწარ ორგანიზება გაუკეთოს და შემდეგ უხელმძღვანელოს იმ კონტაქტებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამერიკელების მოგზაურობისას მოსკოვის გარეთ. მეხუთე ქვეგანყოფილება მუშაობას ეწევა ლათინოამერიკულ დიპლომატებს შორის იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ისინი შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში, ან საკუთარ ქვეყნებში გავლენიანი აგენტების სახით.

მე-7 განყოფილება ყველაზე დიდია ნომრიან განყოფილებებს შორის. იგი ნადირობს ტურისტებზე. მის განკარგულებაშია ასობით თანამშრომელი მოსკოვში, იმდენივე — პერიფერიებში, აგრეთვე, 1600-მდე აგენტი და ცნობების მიმწოდებელი, რომელთაგან ბევრი ცნობილია როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკი. განსაკუთრებით აქტიურ აგენტებს უცხოელები წარმოადგენენ,რომლებიც მუშაობენ მოსკოვის დაწესებულებებთან, საზღვარგარეთის ავიახაზების და ფირმების წარმომადგენლებად. განყოფილების ექვსი ქვეგანყოფილებიდან პირველი მუშაობს ამერიკელ, ბრიტანელ და კანადელ ტურისტებზე, მეორე დაკავებულია სხვა ეროვნების ტურისტებით, მესამე — თვალყურს ადევნებს სასტუმროებს, რომლებშიც ასახლებენ უცხოელებს, და აგრეთვე რესტორნებს, სადაც ისინი ჩვეულებრივ დაჰყავთ.

მეოთხე ქვეგანყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ინტურისტი, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ტურისტები აფორმებენ მოგზაურობებს სსრკ-ში, და მოგზაურობათა ბიურო „Спутник“, რომელიც საზღვარგარეთის ახალგაზრდობას სთავაზობს იაფფასიან მოგზაურობებს საბჭოთა კავშირში. მეხუთე ქვეგანყოფილება ორგანიზებას

გაგრძელება მე-5 გვ.

მე-4 გვერდიდან

უკეთებს შეხვედრებს ტურისტებსა და საბჭოთა მოქალაქეებს შორის და იძიებს გაუთვალისწინებელ კონტაქტებს. მეექვსე ქვეგანყოფილების თანამშრომლები იმჭოფვებიან სამეთვალყურეო პოსტებზე მოტელებში, კემპინგებში, ბენზინგასამართ სადგურებში და იმ ცენტრალური გზების გასწვრივ განლაგებულ გარაჟებში,რომლითაც ტურისტები მოგზაურობენ. აგრეთვე, თვალყურს ადევნებენ უცხოელებს, რომლებიც გადაკვეთენ საბჭოთა კავშირის სივრცეს თვითმფრინავით ან მატარებლით. ეს ქვეგანყოფილება მართავს, ასევე, საერთო-ეროვნული მასშტაბის საკომუნიკაციო სისტემას, რაც საშუალებას აძლევს მე-7-ე განყოფილებას სწრაფად გადასცეს ფოტოსურათები და ინფორმაციები ტურისტების შესახებ.

მე-8 განყოფილება განაგებს მეორე მთავარი სამმართველოს საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს. რამდენადაც სუკ-ი თავის მუშაობაში ამ მანქანებს სულ უფრო მეტად ეყრდნობა,განყოფილების სიდიდე და მნიშვნელობაც შესაბამისად იზრდება.

მე-9 განყოფილება კონცენტრირებულია უცხოელი სტუდენტების თვალთვალსა და გადაბირებაზე. ამ მიზნით ის იყენებს ცნობების მიმწოდებლებს ფაკულტეტებზე და სტუდენტურ ორგანიზაციებში ყველა საბჭოთა უნივერსიტეტში, სადაც უცხოელ სტუდენტებს რიცხავენ. მომხდარა, რომ საბჭოთა სტუდენტებს გამოუჩენიათ ვაჟკაცობა — გამოტყდომიან ამერიკელებს, რომ არიან ცნობების მიმწოდებლები და არაორაზროვნად გაუფრთხილებიათ, სუკ-ის მიერ მოწყობილ მახეში არ გაბმულიყვნენ.

მე-10 განყოფილებას თვალყური უჭირავს უცხოელ ჟურნალისტებზე და ცდილობს გავლენა მოახდინოს მათზე და გადაიბიროს კიდეც ისინი. საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს ზოგიერთი სახის მუდმივ პრივილეგიას იმ ჟურნალისტებისათვის,რომლებიც აამებენ მას და ყველანაირად უწევს წინააღმდეგობას მათ, ვინც ამას არ აკეთებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ზოგიერთი მწერალი მოექცა სრულიად ღია ზედამხედველობის ქვეშ, რიგ შემთხვევებში პროვოკაციების მსხვერპლიც კი გახდა ამ განყოფილების თანამშრომლების მხრიდან, რომლებიც ცდილობდნენ ამ მწერალთა იზოლირებას სხვა საბჭოთა ინტელიგენტებისაგან. განყოფილება ნიშნავს თანამშრომლებს თანამდებობებზე სამმართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური კორპუსის მოსამსახურეებისათვის. დიპლომატს თუ დასჭირდა რომელიმე საბჭოთა ჩინოვნიკთან შეხვედრა, მგზავრობის დაგეგმვა ან უბრალოდ რაიმე მოშლილობის შეკეთება წყალსადენის სისტემაში, მან ჩვეულებრივ უნდა დარეკოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატთა კორპუსში, ანუ სხვა სიტყვებით, სუკ-ში.

მე-11 განყოფილება სანქციას აძლევს და აწესრიგებს საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქეების მგზავრობას. მსხვილი პარტიული მუშაკების და მაღალი თანამდებობის პირების მგზავრობის გამოკლებით. განყოფილების მოსამსახურეები გულდასმით სწავლობენ სავარაუდო მოგზაურის წარსულსა და აწმყოს. მისი იდეოლოგიური ერთგულების, ან, პირიქით, სხვა მხარეზე გადასვლის განზრახვის ნიშნების ან დამამტკიცებელი საბუთების ძებნისას. ჩვეულებრივად, თითოეულ გასამგზავრებელ ჯგუფს აცილებს განყოფილების ან თანამშრომელი, ან აგენტი. მოგზაურთა ქცევის შესახებ მოხსენებები ხდება ხელშეუვალი ნაწილი დოსიესი, თითოეულ საბჭოთა მოქალაქეზე, რომელიც ოდესმე ყოფილა საზღვარგარეთ.

მე-12 განყოფილება იძიებს კორუფციის, მექრთამეობის და გაფლანგვების განსაკუთრებით მსხვილ საქმეებს სახელმწიფო დაწესებულებებში.

სუკ-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განყოფილებას წარმოადგენს უშიშროების პოლიტიკური სამსახური, რომელსაც სუკ-ის ოფიცრები შემოკლებით სამსახურს ეძახიან. მისი მეშვეობით სუკ-ი ანხორციელებს ყოველდღიურ კონტროლს საბჭოთა ცხოვრებაზე და მრავალრიცხოვანი,მთელი ქვეყნის მომცველი, ცნობების მიმწოდებლების ქსელებზე. ადრე ეს სამსახური შედგებოდა მიმართულებად წოდებული თორმეტი დიდი განყოფილებისაგან, მაგრამ 1969 წელს მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მიმართულებათა ფუნქციები გადაეცა მეხუთე მთავარ სამმართველოს.

პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 მიმართულებები დარჩა მეორე მთავარ სამმართველოში. ისინი განაგებენ საერთო გამოძიებებს და მუშაობას სუკ-ის ადგილობრივ ფილიალებთან ოთხ გეოგრაფიულ სექტორში, რომლებადაც საიდუმლოდ დაჰყო მოსკოვმა საბჭოთა კავშირი, ადმინისტრაციულად მოხერხებული რომ ყოფილიყო. ცნობების მიმწოდებელთა ქსელების დიდი ნაწილი იმართება სუკ-ის ადგილობრივი ფილიალებით, რომლებიც, თავის მხრივ, იმართებიან 1,2,3 და 4 მიმართულებებით.

ჯ. ბარონი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პასუხგაუცემელი კითხვები

დღევანდელ პოლიტიკურ მმართველ ელიტას ჯიუტად არ სურს თავის უახლოეს წარსულს გადახედოს. ჯიუტად არ სურს გაიხსენოს წარუმატებლობათა ის კორიანტელი, რომელმაც მრავალი უბედურება მოუტანა როგორც ცალკეულ ოჯახებს, ისე მთელ ქვეყანას. წარსულის მიმართ ისინი სირაქლემის პოზაში არიან, მომავალს კი თავაღერილნი და იმედით გაბრწყინებულნი შეჰყურებენ, თითქოს, ის, რაც წარსულში მოხდა, მათ არ ეხებათ. თითქოს ისინი პასუხისმგებლობისაგან აბსოლუტურად თავისუფალნი არიან, ხოლო თუ ვინმემ გაბედა და სავსებით ბუნებრივად წამოჭრილი კითხვები ხმამაღლა დაუსვა მათ, სასტიკად ღიზიანდებიან, პასუხის ნაცვლად მრავალმნიშვნელოვნად სდუმან, ან იქედნურად აქეთ დაგცინებენ...

ამდაგვარი კითხვები კვლავ წამოჭრა **ნოდარ ნათაძემ** 4 აგვისტოს სხდომაზე პარლამენტში. მან თავისი გამოსვლის ბოლოს აღნიშნა:

— **„არაოფიციალურად და არაცალსახად მოდის წინადადება, რომ ყოვლისშემძლე პრეზიდენტად კენჭნაყარ და არჩეულ იქნეს საქართველოს დღევანდელი ერთპიროვნული მმართველი, სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, რომელიც არანაირი ანგარიშით არ წარმდგარა არც ერის, არც პარლამენტის წინაშე. ეს პროცედურა მე მიმაჩნია ძალადობის მცდელობად არა მარტო დემოკრატიის პრინციპების, არამედ საერთოდ მართვის ანბანური პრინციპების მიმართ.**

ძირითადი პუნქტები, რომელზედაც სახელმწიფოს მეთაურს ანგარიშგება მართებს მანამდე, სანამ მორალური და ფორმალური უფლება ექნებოდეს, რომ საქართველოს ერთპიროვნული მმართველობის გაგრძელების წინადადებით მიმართოს პარლამენტს და ერს, ჩემის აზრით, შემდეგია (რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალით):

1. როგორ და რა პროცესების შედეგად მოხდა, რომ საქართველოს, რომელსაც ზ. გამსახურდიას მმართველობის დამთავრების მომენტისთვის არც ერთი ცენტი საგარეო ვალი არ ჰქონდა, დღეს მილიარდ დოლარზე მეტი ვალი აქვს?

2. რატომ განიცადა საქართველომ დამარცხება აფხაზეთის ომში? იყო თუ არა ღალატი და თუ იყო, რატომ არაა შემდგარი (დამთავრებული) გამოძიება და არ არიან ცნობილნი დამნაშავეები?

3. რატომ იქნა ხელმოწერილი 27 აგვისტოს შეთანხმება სოხუმიდან ტექნიკის გამოყვანის შესახებ?

4. რატომ იქნა შეყვანილი მოსახლეობა ქალაქ სოხუმში 1993 წლის აგვისტოში და რატომ არ იქნა გამოყვანილი იგი სოხუმის ალყის დროს წებელდის გზით?

5. რატომ იქნა რუსეთი მოწვეული მშვიდობის მყოფელად აფხაზეთში და რატომ იქნა დაყენებული მისი ჯარი ენგურისპირეთში ზუგდიდის ჩათვლით?

6. რატომ იქნენ მოწვეულნი რუსები ამავე ფუნქციით ცხინვალის რეგიონში?

7. რატომ არ დააფიქსირა საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომში რუსეთის მონაწილეობის ფაქტი?

8. რატომ არ იქნა შეწყვეტილი დ. დვალიშვილის მცდარი საფინანსო პოლიტიკა მის სიკვდილამდე?

9. რატომ არ ჩატარდა და არ ტარდება ადგილობრივი არჩევნები?

10. რატომ არ იქნა დაშლილი უკანონო შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონი“?

11. რატომ იქნა მოწყობილი შეჯავშნული ლაშქრობები დასავლეთ საქართველოს რეგიონებში?

12. რატომ და რა უფლებამოსილების საფუძველზე მოხდა რუსეთის ბაზების შესახებ შეთანხმების პარაფირება, რითაც დაირღვა პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება?

13. რა უფლებამოსილებით ხდება, კანონის საწინააღმდეგოდ, სამხარეო რწმუნებულების დანიშვნა და ამავე მასშტაბით მმართველობითი სტრუქტურების შექმნა?“

ოდითგანვე ფედერალური, ანუ საქართველოს შეერთებული შტატები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

როგორც ცნობილი გახდა, კონსტიტუციის პროექტის მთავარი „განხეთქილების ვაშლი“ — ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი, დღის წესრიგიდან დროებით მოიხსნა. თუმცა, ახლავე შეიძლება ითქვას, რომ აქ თანხმობის მიღწევა ნებისმიერ შემთხვევაში გაჭირდება. ძნელი სათქმელია, როგორი იქნება არჩევნების შემდეგ პარლამენტის ახალი შემადგენლობა. ამჟამად მოქმედი პარლამენტის სხდომებმა კი ცხადყო: აღნიშნულ საკითხში არც ოპოზიციონერთა და არც უმრავლესობელთა შორის არ სუფევს ერთსულოვნება. ორივე ბანაკში არიან მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

არსებობს პარლამენტართა (და არა მარტო პარლამენტართა) კიდევ ერთი კატეგორიაც, რომელიც საერთოდ ერიდება გონების ზედმეტად გადატვირთვას — აქაოდა ბუს (შევარდნაძეს) დიდი თავი (ოცი სვლით რომ წინდაწინ ითვლის) აქვს და ტვინიც იმან იჭყლიტოსო. ჩვენ კი, როცა საჭირო იქნება, მხარში ამოვუდგებით: ან ხელს ავუწევთ, ან თითს დავაჭერთო.

მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა, ეტყობა არავითარი ქვეშეერდომული ერთგულება არ ჩათვალა საკმარისად და მხარშიმდგომებს უსაყვედურა: პულტთან კი მაგრები ხართ, ოღონდ მარტო მე რომ მამტვრევინებთ თავს, ცოტა თქვენც იაზროვნეთ; დაჯექით და მოილაპარაკეთ, როგორ დავასაბუთოთ ფედერალიზმის საჭიროებაო. იმათაც, სხვა რა გზა ჰქონდათ: დასხდნენ, იმსჯელეს და ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ მართლაც კარგი რამ მოიფიქრეს. რომ იტყვიან, ქვის გამხეთქავი და მტრისთვის თვალის დამცსები...

თურმე საქართველოში ისტორიულად, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, სულ ფედერალიზმი ყოფილა! ესეოვითარი დებულება რომ ამა თუ იმ პიროვნების კერძო მოსაზრება კი არა, სწორედ შეთანხმებული მსჯელობის ნაყოფია, იქიდანაც ჩანს, რომ შევარდნაძის მხარშიმდგომები მიუხედავად ასაკისა, განათლებისა და ინტელექტის კოეფიციენტისა — დაზუთხული გაკვეთილივით იმეორებენ მას: მანანა გიგინეიშვილი, ლევან მამალაძე, ნესტან კირთაძე და სხვანი და სხვანი სრულიად სერიოზულად ამტკიცებენ: XII საუკუნეში, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო ფედერაციული სახელმწიფო გახლდათ და იმიტომაც იყო. ძლიერი და მაღალგანვითარებული.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? რასაკვირველია, კლასიკური ევროპული (მათ შორის „ქართული“) ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია უფლებამოსილებათა გადანაწილება „ცენტრსა“ (ტახტი) და რეგიონებს (ფეოდალები) შორის. მეფის სტატუსი თუმცა საკრალიზებულია, მას განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია, როგორც „ღვთისგან ცხებულს“, მაგრამ იგი არ არის აბსოლუტურად ერთპიროვნული მმართველი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ განაგოს ფეოდალთა სამფლობელოები. ყველა ფეოდალი — მესაკუთრეა და არა „ზემდგომი ინსტანციის“ (მეფე) მიერ დანიშნული „ჩინოვნიკი“. ისიც ცხადია, რომ ფედერალიზმის პრინციპები სწორედ კლასიკური ფეოდალური ურთიერთობებიდანაა „ამოზრდილი“. ოღონდ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ფეოდალური სახელმწიფო ფედერაციაა.

ჯერ ერთი, როცა დღეს ახსენებენ ფედერალიზმს, მუდამ იგულისხმება ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფო, ანუ სახელმწიფო, რომლის დამფუძნებლადაც აღიარებულია ერი (ნაცია). ეს კი მთლიანად ახალი ეპოქის პირმშოა. ფეოდალიზმის დროს არანაირი ნაციონალური სახელმწიფო არ არსებობს! ისევე როგორც არ არსებობს **ეროვნული შეგნება** დღევანდელი გაგებით: მეთორმეტე საუკუნეში ქართველი გლეხისთვის რომ გეთქვა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის უნდა იბრძოლოო, ის უბრალოდ ვერ გაიგებდა, რაზეა ლაპარაკი. ფეოდალიზმის ეპოქის ადამიანისათვის მშობლიურია ის, რაც, მარტინ ჰაიდეგერის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, განფენილია ხელთმყოფიდან ხელმისაწვდომამდე; სამშობლო მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ როგორც ჩვეული სოციალური გარემო... ამიტომ კლასიკურ ფეოდალურ სახელმწიფოთა პერმანენტული დაშლა-დაქუცმაცება მოსახლეობის თვალში თავისთავად არასოდეს მიიჩნეოდა ტრაგედიად. მთავარი იყო არ მომხდარიყო ზემოთ ნახსენები სოციალური გარემოს ხელყოფა.

ფეოდალიზმის დროს **სახელმწიფოებრიობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით** მეფის, ფეოდალებისა და გლეხობის ინტერესები, როგორც წესი, არ ემთხვევა ერთმანეთს. მონარქი (ცენტრი) ყოველთვის აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, ფეოდალები (რეგიონალური ხელმძღვანელობა) კი განცალკევებისკენ. რაც უფრო შეზღუდულია ფეოდალთა უფლებამოსილებანი, სახელმწიფოს მთლიანობაც მით უფრო მტკიცეა და პირიქით, ფეოდალთა გაძლიერება ქვეყანას დაშლის რეალურ საფრთხეს უქადის. კაცმა რომ თქვას, ეს ელემენტარული ამბავია, რომელიც ყველა რვაკლასდამთავრებულმაც უნდა იცოდეს, არათუ პროფესორმა და პოლიტოლოგმა. დავით აღმაშენებლის საქართველო იმიტომ იყო ძლიერი, რომ ფეოდალთა უფლებამოსილებანი შეიზღუდა ტახტის სასარგებლოდ და არა „სამხარეო დაყოფის“ გამო. ფეოდალური წყობილების გაიგივება ფედერალიზმთან აბსოლუტურად გაუმართლებელია. მითუმეტეს აბსურდია ფეოდალურ ურთიერთობათა მოშველიებით დღეს ფედერალიზმის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა. არცერთი ფეოდალური სახელმწიფო არასოდეს ყოფილა მტკიცედ შეკრული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. რაც, სხვათა შორის, ასევე არ გამოდგება ფედერალიზმის საწინააღმდეგო არგუმენტადაც. წარსულის რეკონსტრუქცია, მისი მექანიკური მისადაგება თანამედროვეობასთან, კონკრეტულ-ისტორიული რეალიების გაუთვალისწინებლად — საერთოდ, უხეში მეთოდოლოგიური შეცდომაა. ჩვენში შიმდინარე დისკუსია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე კი დიდწილად ამ მანკიერ მეთოდოლოგიას ეყრდნობა. ამ დროს კი, ცოტა არ იყოს კომიკური სიტუაცია იქმნება. ვთქვათ, ფედერალიზმის სასარგებლოდ შევარდნაძის მხარშიმდგომთა „ისტორიულ“ არგუმენტებს თუ ვირწმუნებთ, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ცოტა ფანტაზიასაც მივცეთ გასაქანი და საქართველოს ისტორიის უაღრესად საინტერესო სურათი წარმოვიდგინოთ: მაგალითად, განვაცხადოთ, რომ ქართველი მეფეები თავგადაკლული ფედერალისტები იყვნენ. კერძოდ, ფედერალიზმის საფუძვლები საქართველოში ფარნავაზს ჩაუყრია, რომელმან ჰქმნა ფედერალური ერთმთავრობა და მისცა წიგნი პირველი ფედერაციის სუბიექტებს, ვახტანგ გორგასალი ხომ ოსებთან და ხაზარებთან ფედერალური ხელშეკრულების გასაფორმებლად იალბუზზე გადასვლასაც არ მორიდებია. რაც შეეხება დავით აღმაშენებელს, მან შვიდნივე მეფესთან პურმარილის დროს დადებული ნაჯარმაგევის ხელშეკრულება არ იკმარა და როცა გულუბრყვილოებს ეგონათ, იმერთა წყლებიდან ამერთა მდინარეებში თევზეულის პროდუქციის ბარტერულ გაცვლას აწარმოებსო, სინამდვილეში თურქეთ-ვალესია და არაბთა ავტონომიურ წარმონაქმნებთან (უვიცი ისტორიკოსები აქამდე ყმადნაფიც ქვეყნებად რომ იხსენიებდნენ) მართავდა სამშვიდობო მოლაპარაკებას მათთვის ფედერაციის სუბიექტის მინიჭების თაობაზე. თამარის ეპოქა კი ძირძველი ქართული ფედერალიზმის ნამდვილი ოქროს ხანაა. საქართველოს იმპერიის შეერთებული შტატები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე. მართალია, მოგვიანებით ფედერაციის ყველა სუბიექტი აგრესიულ სეპარატიზმში გადავარდა, მაგრამ ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ ქართველ მეფეებში პროვინციული ფაშიზმის იდეოლოგიამ მოიკიდა ფეხი, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, არცერთი მეფე ხალხის მიერ არჩეული რომ არ იყო...

ხუმრობა ხუმრობად დარჩეს, მაგრამ როცა ქვეყანაში სერიოზული საკითხის ირგვლივ სერიოზული მსჯელობის ნაცვლად მითოლოგიზირებულ კლიშეთა შეხლა-შემოხლაა, რაიმე კონსტრუქციული შედეგის მიღწევა — შეუძლებელია. კარგია საქართველოს ფედერალიზაცია თუ ცუდი, გვჭირდება თუ არა სამხარეო მოწყობა, ამ საკითხზე სერიოზული, დაუნჯებული, მეცნიერულად არგუმენტირებული მსჯელობაა საჭირო. დროა მოვეშვათ წარსულის „ლანდებთან ლაციცს“, წინაპართა აჩრდილების გამოხმობას, ზოგად-აბსტრაქტულ განაზრებებს და ვიხელმძღვანელოთ დღევანდელი რეალობით, თორემ სანამ გავარკვევთ ვინ იყო დავით აღმაშენებელი— ქართული უნიტარიზმის მამა თუ ეროვნული ფედერალიზმის პატრიარქი, მანამდე შეიძლება აღარც უნიტარული სახელმწიფო შეგვრჩეს ხელში და აღარც ფედერალური. მატროს ჟელეზნიაკოვის აჩრდილი სულ უფრო თავხედურად დაძრწის ჩვენს გვერდით და ერთ მშვენიერ დღესაც გამოგვიცხადებს, რომ **„Караул устал!“** წადი მერე და სადაც გინდა იჩივლე ...

დათო ზურაბიშვილი

წამოდექით ყმაწვილებო და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

ადრე თუ პირველი სექტემბერი ყოველთვის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ასოცირდებოდა, ეხლა ნამდვილად აირია მონასტერი. სწავლა შეიძლება პირველ სექტემბერს დაიწყოს, შეიძლება 15 სექტემბერს, 1 ოქტომბერს ან შემოდგომის ნებისმიერ მზიან დღეს, რომელსაც სკოლის დირექტორი აირჩევს და მოიწონებს. დაბნეული მშობელი იმის გაგებას თუ მოახერხებს, როდის უნდა ჩაულაგოს შვილს სიმწრით ნაყიდ სასკოლო ჩანთაში ძვირადღირებული და ფუფუნების საგნად ქცეული საკანცელარიო ნივთები. მერე იმაზე უნდა იმტვრიოს თავი ბავშვს ჩანთაში ფულიც უნდა ჩაუდოს (დოლარი რასაკვირველია), თუ მისი შვილი სწავლის მწარე ძირს უფასოდაც გემრიელად „დატკვირავს“.

საქართველოში ამ ბოლო დროს ნაწვიმარზე სოკოებივით ამოსული ფასიანი კოლეჯების, გიმნაზიების და სხვა სასწავლო დაწესებულებების მიმართ ყველაფერი გარკვეულია, გადაიხდი ნიხრით დაწესებულ თანხას (დოლარს, რასაკვირველია) და შენი შვილიშვილი პირდაპირ „დოხტური“ გამოვა მაგრამ რა ქნას საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომელსაც არა აქვს საშუალება შვილები ფასიან სასწავლო დაწესებულებაში მიაბარონ, თვითონ ასწავლონ სახლში წერა-კითხვა და „ვეფხისტყაოსანი“ თუ გამოუჩნდებათ დამხმარე? ყბადაღებული სოციალიზმის დროს სწავლა-განათლება სავალდებულო იყო. როგორი ვითარებაა დღეს საქართველოში? ამ საკითხზე გვესაუბრება განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ბესო ფაჩუაშვილი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს დაწყებითი განათლების სავალდებულობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია მიიღოს დაწყებითი განათლება და ყოველი მოქალაქე ამ განათლებას იღებს სახელმწიფო ხარჯზე. ეს შეეხება ძირითადად 1-6 კლასს. ამის შემდეგ სახელმწიფო უზრუნველყოფს მსურველთათვის სახელმწიფოს ხარჯზე საბაზო განათლების მიღებას. აქ იგულისხმება ჯერჯერობით მე-7,8,9 კლასები, „ჯერჯერობით“ ვახსენეთ იმიტომ, რომ არ არის განსაზღვრული რომელი კლასების უზრუნველყოფას შესძლებს სახელმწიფო. რაც შეეხება პროფესიულ და ზოგად განათლებას, სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონისა და შესაძლებლობის ფარგლებში მოქალაქეთა სახელმწიფო ხარჯზე განათლების მიღებას. უმაღლესი განათლება მოიაზრება როგორც პროფესიული განათლების ერთ ნაწილად და შესაბამისად შედის ამ კატეგორიაში.

ასე, რომ ჩემო ძვირფასო პატარებო და საქართველოს მომავალო თაობავ, სახელმწიფოს როგორც კი ექნება საშუალება, თქვენზე უკეთესს ვის ასწავლის. ჯერჯერობით კი აღიჭურვეთ მოთმინებით და პირველ სექტემბერს დაელოდეთ. პირველს არა და სექტემბერს ჩვენც დაველოდებით, როდესაც პარლამენტში განათლების შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენა გაიმართება. პროექტი დეტალურად არეგულირებს განათლების უფლებას და საერთოდ განათლების სისტემას. მართალია, ჩვენს პარლამენტს ბევრი და საშური საქმე აქვს გასაკეთებელი, მაგრამ იქნებ მოიცალონ განათლებისთვის და ხელისუფლებიდან წასვლისას გზად და ხიდად გაიდონ მიღებული პროექტი.

ლელა ნაკაშიძე

ბრეჟნევმა სტალინის სული გამოიძახა:
— ამხანაგო სტალინ! რა ვუყოთ სინიავსკის?
— ფეხბურთის კომენტატორს?
— არა— მწერალია,რომელმაც...
— რა საჭიროა ორი სინიავსკი.

* * *

კომუნისტს ცოლმა რაიკომში უჩივლა, ქმრის მოვალეობას ცუდად ასრულებსო. ის კი პარტბიუროზე იმართლებდა თავს: „რას იზამ, მე იმპოტენტი ვარ...“
— მაგრამ უპირველეს ყოვლისა შენ კომუნისტი ხარ!...

* * *

რაბინოვიჩს პარტიაში ღებულობენ და ამონშებენ მის პოლიტიკურ განათლებას:
— დაგვისახელეთ 30 დიდი მარქსისტი!
— მარქსი,ენგელსი, ლენინი...
— კარგით, კიდევ?
— თქვენ, ბატონო მდივანო, და 26 ბაქოელი კომისარი!

* * *

ᲬᲣᲗᲨᲔᲡᲕᲔᲜᲘᲔᲑᲐ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

ᲬᲕᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲔᲒᲓᲝᲢᲔᲑᲘ

მე-18 ყრილობაზე სტალინი სიტყვით გამოდიოდა. ვიღაცამ დაცემინა.
— ვინ დაცემინა? (სიჩუმე)
— ყოველი მეათე— ათი წლით! (წაიყვანეს)
— ვინ დაცემინა - მეთქი? (სიჩუმე)
— ყოველი მეათე დაიხვრიტოს! (წაიყვანეს)
— მაშ ვინ დაცემინა?
— გლებ კრჟიჟანოვსკი:
—მე.
სტალინი:
— იცოცხლე!

* * *

მომღერალი წინასწარ იყო დარწმუნებული წარმატებაში: ერთი გაბედონ და ტაშს ნუ დასცხებენ, სტალინზე ვიმღერებ...

* * *

— შეიძლება გენერლის შვილი მარშალი გახდეს?
— არა.
— რატომ?
— მარშალსაც ხომ ჰყავს შვილები?!.

* * *

ძერჟინსკი ლენინს ურეკავს:
— ვლადიმერ ილიჩ! ხვალ შაბათობაა, ჩვენ კი თქვენი გასაბერი მორი მოგვპარჭს, როგორ მოვიქცეთ?

* * *

— მარქსი მკვდრეთით აღსდგა და რადიოთი გამოსვლა მოითხოვა. თავისას რომ მიაღწია, დარწმუნებით წარმოსთქვა:
„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შაპატიეთ!“

* * *

სომხეთის რადიო:
— რატომ შეწყდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გადაცემები?
— მხიარულები ბამზე წავიდნენ, საზრიანები კი— ისრაელში.

* * *

ებრაელი დახასიათებას ითხოვს ისრაელში წასასვლელად.
— რატომ მიდიხართ?
— წინაპრების მიწა მიხმობს.
— თქვენი ნათესავები სად ცხოვრობენ?
— ერთი ამა უნგრეთში აშენებს სოციალიზმს, მეორე — ბულგარეთში.
— თქვენ ირსაელში გაკეთებთ იგივეს?
— რას ბრძანებთ, საკუთარ სამშობლოში?!

* * *

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠᲔ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ (ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ)

თანამედროვე პირობებში მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ცალკეული ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ინტენსივობას. მოსახლეობის მიგრაცია — მცხოვრებთა რიცხოვნობისა და შემადგენლობის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ეს გამოწვეულია მიგრაციული მოძრაობის დიდი მასშტაბებითა და მაღალი ინტენსივობით.

მიგრაცია იწვევს ცვლილებებს მოსახლეობის რიცხოვნობასა და სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში, როგორც მიგრანტთა წასვლის, ასევე მათი ჩასახლების ადგილებზე და ამით გავლენას ახდენს შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების დინამიკაზე და ინტენსივობაზე. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი მოწმობს, რომ მიგრაციულ მოძრაობაში მონაწილეობს რეპროდუქტიულობის თვალსაზრისით მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიური ნაწილი.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში (1979—1993 წლებში) საქართველოდან გავიდა 243,9 ათასი კაცით მეტი, ვიდრე შემოვიდა, ხოლო მოსახლეობის მიგრაციულმა ბრუნვამ 1008,5 ათასი კაცი შეადგინა. მიგრაციის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა ბოლო ოთხი წელიწადი, როდესაც საქართველოდან მუდმივ საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა 236,9 ათასი კაცი, ხოლო ჩამოვიდა 78 ათასი კაცი, ე.ი. ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით რესპუბლიკას ყოველწლიურად 7-8 კაცი დაეკლდა.

მოსახლეობის მიგრაციული მობილობის ასეთი დიდი მასშტაბები, ჩვენი აზრით, განაპირობა ბოლო წლებში მომხდარმა დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა — საბჭოთა კავშირის დაშლამ და მის ბაზაზე დამოუკიდებელი ეროვნული სუვერენული სახელმწიფოების აღდგენამ.

საქართველოს მოსახლეობის დაბალმა ბუნებრივმა მატებამ (1991-1993 წლებში 42, 6-დან 12,7 ათასამდე შემცირდა) და გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ განაპირობა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება. აღნიშნულ წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა 5464,2-დან 5447,1 ათას კაცამდე, ანუ 17,1 ათასი კაცით შემცირდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მოსახლეობის მიგრაციისა და განსახლების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განყოფილების თანამშრომელთა მიერ შესწავლილ იქნა 1993 წელს გარერესპუბლიკურ მიგრაციაში მონაწილე მიგრანტთა სტრუქტურა, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

როგორც გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებენ, მაღალი მიგრაციული მობილობით გამოირჩევიან ქალები. მათი წილი განსაკუთრებით მაღალია წასულებს შორის (54,6%). ასევე მაღალი წილით არიან წარმოდგენილნი ისინი მიგრაციის სალდოში (54,9%).

რესპუბლიკაში ჩამოსულებს შორის 62,7%-ს 16-30 წლისა და 17,8%-ს 31-40 წლის მიგრანტები შეადგენენ. 60 წლისა და უფროსი ასაკის მიგრანტთა წილი ჩამოსულთა მთლიან რაოდენობაში 5,6%-ს შეადგენს.

საქართველოდან წასულებს შორის 16-30 წლის ახალგაზრდები 35,1%-ს შეადგენენ, ხოლო 31-40 წლის მიგრანტები 25,2%-ს. დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიგრანტთა წილი წასულებს შორის მაღალია, ვიდრე ჩამოსულებს შორის (გამონაკლისს შეადგენენ 0,15 წლის მიგრანტები). ასე მაგ: 60 წლისა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მიგრანტთა წილი წასულებს შორის 16,7%-ს შეადგენს. როგორც ირკვევა, რესპუბლიკაში ჩამოსულებს შორის სჭარბობს ახალგაზრდათა წილი, ხოლო წასულებს შორის— საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა წილი, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა. მაგრამ იმდენად მაღალია მიგრაციის უარყოფითი სალდო, რომ ზემოაღნიშნული დიდ გავლენას ვერ მოახდენს რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. ასე მაგ: მიგრაციის უარყოფით სალდოში 16-30 წლის ახალგაზრდების წილმა 31,4% შეადგინა, ხოლო 31-40 წლის მიგრანტებისამ 26,1%.

განსაკუთრებით მაღალი მიგრაციული მობილობით გამოირჩევა მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, როგორც გამოკვლევის მასალები გვიჩვენებენ, მიგრაციულ პროცესებში მონაწილე ქალთა 75,2% და მამაკაცთა 87,3% შრომისუნარიანი ასაკისაა.

1993 წელს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასულ მოსახლეობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წარმოდგენილი იყო რუსი ეროვნების მოსახლეობა — 36,1%, შემდეგ აზერბაიჯანელები— 14,4%, ქართველები — 13,2%, სომხები— 11,1%. ხოლო რესპუბლიკაში შემოსულთა შორის ქართველები შეადგენდნენ 49,0%-ს, სომხები— 19,1%, აზერბაიჯანელები — 12,5%, რუსები — 9,0%.

თუ გავაანალიზებთ მიგრანტთა შემადგენლობას სქესისა და ეროვნების მიხედვით ვნახავთ, რომ მიგრაციის მიმართ განსაკუთრებით მობილურები არიან რუსი (58,4%), აზერბაიჯანელი (60,6%), ებრაელი (58,4%) და უკრაინელი (61,7%) ქალები, დანარჩენ ეროვნებებში ჭარბობენ მამაკაცები.

მასალები მიგრანტთა ასაკისა და ეროვნების მიხედვით გვიჩვენებენ შემდეგს: ქართველებში დიდი მიგრაციული აქტიურობით გამოირჩევიან 16-30 და 31-40 წლის მიგრანტები (54,7 და 22,9% შესაბამისად); რუსებში — 16-30 წლამდე ასაკის (24,2%), 31-40 წლის (23,4%) და 60 წლისა და უფროსი ასაკის წარმომადგენლები (23,3%); აზერბაიჯანელებში 16-30 წლის ახალგაზრდები (51,4%); ბერძნებსა და სომხებში 16-30 წლის ახალგაზრდების წილი შესაბამისად 47,6 და 47,1%-ს შეადგენს. მაღალია აგრეთვე 60 წლისა და უფროსი ასაკის მიგრანტთა წილი ყველა ეროვნებაში. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ქართველები, ბერძნები და აზერბაიჯანელები.

რესპუბლიკიდან გასული მიგრანტები ძირითადად თავიანთ რესპუბლიკებს უბრუნდებიან, გამონაკლისს წარმოადგენენ სომხები, რომელთა უმეტესი ნაწილი გადის რუსეთში. 1993 წელს სომეხი ეროვნების მიგრანტთა 62,6%-ს მიგრაციული კავშირები ჰქონდა რუსეთის ფედერაციასთან. ბერძენი და ებრაელი მიგრანტები უმთავრესად გადიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. საქართველოდან წასული ბერძნების 59,8% საბერძნეთში წავიდა, ხოლო ებრაელთა 73,7% — ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად.

საქართველოს ინტენსიური მიგრაციული კავშირები აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რუსეთთან, რომელზეც მოდის მოსახლეობის რესპუბლიკათაშორისი მექანიკური მოძრაობის ნახევარზე მეტი (62,8%). საქართველოს მჭიდრო მიგრაციული კავშირები აქვს აგრეთვე უკრაინასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან, რაც ამ რესპუბლიკების საქართველოსთან ტერიტორიული სიახლოვითაა განპირობებული. გარდა ამისა, ისტორიულად სომხეთსა და აზერბაიჯანიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში ამ რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის საკმაოდ მაღალი წილია წარმოდგენილი.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1990—1992 წლებში საქართველოდან წავიდა 9,7 ათასი ქართველი, ხოლო მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდა 20,9 ათასი, ე.ი. მიგრაციის სალდომ შეადგინა 11,2 ათასი კაცი. დანარჩენ ეროვნებებში მიგრაციის სალდო უარყოფითია.

1993 წელს, ჩვენი გაანგარიშებით, რესპუბლიკაში ჩამოვიდა 6,2 ათასი, ხოლო საქართველოდან მუდმივ საცხოვრებლად გავიდა 5,7 ათასი ქართველი.

ქართველ მოსახლეობას მიგრაციული კავშირები აქვს ძირითადად რუსეთთან (74,7%), უკრაინასთან (12,9%), ისრაელთან (2,9%), აზერბაიჯანთან (2,4%), საბერძნეთთან (1,9%). დანარჩენ ქვეყნებთან კავშირები უმნიშვნელოა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი ციფრები ეხებათ იმ პირებს, რომლებიც ოფიციალურად ამოეწერნენ საქართველოდან და მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ სხვა ქვეყანაში. მოსახლეობის იმ ნაწილის აღრიცხვა (ძირითადად ქართველები), რომელიც ჩაწერილია საქართველოში, მაგრამ საკუთარი სურვილით დროებით არის წასული რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ ან საცხოვრებლად, ჭერჭერობით არ ხდება და მისი სტრუქტურის შესწავლაც სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ე.მ.კ.

ძებნილი? ნურას უკაცრავად...

ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოში არსებული მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის მიმოხილვა. ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ დამნაშავეობისაკენ მიდრეკილების მქონე ფენის იმ წარმომადგენლებზე, რომელთაც ფორმალურად მიღებული აქვთ ეგრეთწოდებული „**ძებნილის**“ სტატუსი.

არც ერთი დამნაშავე, (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დანაშაულის ჩადენის შემდეგ სკამზე არხეინად წამოსკუპებული არ ელოდება პოლიციას, მოვლენ და დამიჭერენო. არც პოლიციაში გარბიან კისრისტეხვით. — არიქა, დანაშაული ჩავიდინე და დამაპატიმრეთო! იწყებს მოქმედებას ჩვეულებრივი მექანიზმი: პირმა ჩაიდინა დანაშაული, მიიმალა და მას ეძებს სამართალდამცავი ორგანოები. მოკლედ ყველაფერი გარკვეულია, როდესაც საქმე სამოქალაქო პირს ეხება. მოქალაქე ძებნილის არსებობის შემთხვევაში ამ საკითხით დასაქმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენტური სტრუქტურები — სისხლის სამართლის სამძებრო სისტემაში არსებული **ძებნის ოპერატიული ქვედანაყოფები**, ისინი საგამოძიებო ორგანოების მიერ შედგენილ „ძებნის გამოცხადების“ სპეციალური დადგენილების საფუძველზე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აღძრავენ საქმეს და მთელ რიგ ოპერატიულ ღონისძიებათა კომპლექსით „შეიარაღებულნი“ აწარმოებენ დამნაშავე პირთა ძებნას და დაკავებას. მაგრამ რომელი უწყება განიხილავს (გადაწყვეტაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) იმ კონტიგენტის საკითხს, რომელსაც **ძებნილი - სამხედრო პირი** ჰქვია? ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა თუ სოციალურმა მდგომარეობამ წარმოაჩინა დამნაშავე სამხედრო პირთა კონტიგენტის არსებობა და შესაბამისად გაჩნდა **ძებნილი სამხედრო პირის** პრობლემაც.

ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა: როგორ რეგულირდებოდა ასეთი საკითხები საბჭოთა არმიის პირობებში? პასუხი მარტივია: „იმ პირობებში სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი შეიარაღებულ ძალებში დანაშაულის დაფარვის საკითხი და შესაბამისად უმნიშვნელო რაოდენობით, განსაკუთრებით საშიში ან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულზე კეთდებოდა რეაგირება — ილძვრებოდა სისხლის სამართლის საქმეები და დროულად, ადგილზევე ანხორციელებდნენ დამნაშავის იზოლაციას, რის გამოც ასეთი კატეგორიის საქმეებზე ფაქტიურად ძებნილები არ არსებობდნენ. სხვა საკითხია დეზერტირი - ძებნილები. ხშირ შემთხვევებში, სტატისტიკური მონაცემების რეალური სურათის დაფარვის მიზნით ხელმძღვანელობის მიერ სამხედრო ნაწილების და შენაერთების მეთაურებს ეკრძალებოდათ რეალური სურათის გამომზეურება და შესაბამისად დეზერტირობის ფაქტებიც იმალეობოდა. ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც, რომ იტყვიან „თავს ზევით ძალა არ არისო“ უშიშროების კომიტეტთან არსებული საგანგებო განყოფილებები "ОСОБЫЙ ОТДЕЛ" ატარებდნენ პირველად ოპერატიულ ღონისძიებებს, თავიანთ ოპერატიულ მომსახურების ტერიტორიალურობის პრინციპით, ხოლო დადებითი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, სამხედრო პროკურატურის სათანადო რეაგირების და „ძებნის შესახებ“ დადგენილების გამოცხადების შემდეგ აღიძრებოდა საქმე. კანონის შესაბამისად ძებნას უქვემდებარებდნენ შინაგან საქმეთა ტერიტორიულ ორგანოებს ძებნილის გაწვევამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი კატეგორიის ძებნილნი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სულ რაღაც 2-3 პროცენტი იყო.

დღეს, მოგეხსენებათ არც სუკ-ი და არც მისი საგანგებო განყოფილებები არსებობენ და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიავალებს ძებნილ სამხედრო პირთა დადგენა-დაკავების საკითხს. ადრე, როდესაც ასეთი კატეგორიის ძებნილთა რიცხვი უმნიშვნელო იყო, კიდევ შესაძლებელი გახლდათ ამ ამოცანის გადაწყვეტა, დღეს კი ვინც არ უნდა დაავალოს, დაევალოს ხსენებულ სისტემას ამ საკითხის გადაწყვეტა, დავალებით კი დაივალებენ, მაგრამ შესრულებისა რა მოგახსენოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის უბრალოდ ხალხი არ ეყოფა.

ამრიგად, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, სამხედრო ნაწილებში და დაწესებულებებში არსებული მოკვლევის ინსტიტუტი არც წინა პერიოდში წყვეტდა ძებნილ სამხედრო პირთა პრობლემას და ვერც ეხლა გადაწყვეტს. ხოლო ოპერატიული სტატუსის მქონე საგანგებო განყოფილებები, რომლებიც ასე თუ ისე, ნაწილობრივ მაინც ეხებოდნენ ამ საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აღარ არსებობენ. ის კი არა, ძებნილი — ამ ცნების სრული იურიდიული გაგებით, დღეს არც არსებობს! ამაზე მიუთითებს ის, რომ არც ერთი ძებნილი სამხედრო პირის მიმართ ძებნის საქმე აღძრული (შექმნილი) არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციულ ცენტრში ასეთი კატეგორიის ძებნილებზე არავითარი ინფორმაცია არ არსებობს, შემთხვევით, სხვა საქმეზე რომც დაიჭირონ, კაცი თუ თვითონ არ ეტყვის, ძებნილი ვარო, ისე ვერავინ მიხვდება, რადგან ძებნის ცენტრალიზებულ ცირკულიარში მათ შესახებ არანაირი მონაცემები არ არის. გამორიცხული არაა, რომ სახელმწიფოში არსებული ბევრი გაუხსნელი სისხლის სამართლის დანაშაული ამ კონტიგენტის მიერაა ჩადენილი და ოპერატიულად ნაკლებად ან საერთოდ მიუდგომლობის ან გაუშუქებლობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოების კონტროლის გარეშეა, რის გამოც ხშირად გამოუსწორებელ შედეგებსაც ვიღებთ. ასე რომ, დროა დადგეს ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე განსახილველად და შეიქმნას ამ საკითხით დასაქმებული კომპეტენტური სტრუქტურები, ჩვენ არც ჰამურაბის და არც შუასაუკუნეებრივი კანონმდებლობის მიხედვით არ ვცხოვრობთ, არამედ თანამედროვე საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული კანონებით.

ვაჟა შანიძე

თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამხედრო პოლიციის მოსამსახურე,

იყიდება

მცირე ზომის მექანიკური საბეჭდი მანქანა რუსული შრიფტით, დამზადებული რუსეთში „რობოტრონის“ ლიცენზიით. ფასი 60 დოლარი.

ტ. 93-18-51

22-22-46

კროსვორდი



თარაზულად: 1. წრის მეოთხედი ნაწილი. 3. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი. 5. სახალხო მომღერალი უკრაინაში. 8. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო. 12. ცხიმოვანი სალბავი სახის იერის შესაცვლელად. 13. კვახი. 14. რისამე ჩამოთვლა, სია (ინდექსი) ან საბიბლიოთეკო კლასიფიკაციაში პირობითი აღნიშვნა. 15. ხრიკები მიზნის მისაღწევად. 17. კარიკატურა. 19. სასიმღერო ლირიკული ლექსი. 22. შენობაში შესასვლელი. 23. მე-19 საუკუნის ფრანგი პოეტი, სატირიკოსი. 24. ღვინის ჭურჭელი. 25. ამაღლებული ადგილი, სცენა მსახიობების გამოსასვლელად. 26. დიდი ნორვეგიელი კომპოზიტორი. 27. სიმღერა ჩვილ ბავშვთათვის. 31. ისტორიული ჩანაწერები. 36. მგოსანი. 37. დიდი გერმანელი მწერალი, მოაზროვნე. 38. დიდი ინგლისელი პოეტი. 39. ჰაერნაოსნობა. 40. იდეოგრაფიული დამწერლობის ნიშანი. 41. ანტიკურ ლექსთწყობაში სამმარცვლიანი ტერფი, სადაც პირველი და მესამე მარცვალი მოკლეა.

შვეულად: 1. შენობის საყრდენი სვეტი, რომელიც წარმოადგენს ქალის ქანდაკებას. 2. გამოჩენილი რუსი კომედიური მსახიობი. 3. სასტამბო შრიფტი. 4. დედანი. 6. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები. 7. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ერთობლიობა. 9. სამეჯლისო ცეკვა. 10. წარწერები კინოფირზე. 11. მე-19 ს. გამოჩენილი ფრანგი ფერმწერი 16. სოფელი და ისტორიული ადგილი სამხრ. საქართველოში. 18. აღორძინების პერიოდის დიდი იტალიელი ფერმწერი. 19. „სირანა დე ბერჟერაკის“ ავტორი. 20. ერთგვარი მოსაპირკეთებელი ქვა. 21. მე-20 ს-ის გამოჩენილი ინგლისელი მწერალი. 25. ქართველი ხალხოსანი მწერალი. 28. მძიმის მსგავსი, სტრიქონსზედა ნიშანი. 29. ეპიკური ლექსი. 30. დიდი ფრანგი მწერალი და პოეტი. 31. მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა, გამოიყენება სამკურნალოდ. 32. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა. 33. ჟორჟ სანდის რომანი. 34. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი. 35. გარემომცველი საჰაერო სივრცე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ეკიპაჟი. 4. პური. 5. პაპა. 7. ბრა. 8. პანო. 9. გრაფიტი. 10. ელვა. 14. იმერმანი. 15. ანოტაცია. 21. ოლფი. 22. ვაგნერი. 23. ავზი. 24. სკა. 25. იგლუ. 26. ეტლი. 27. იაგტაში.

შვეულად: 1. ეპიგრაფი. 2. ეპილოგი. 3. იმპერია. 4. პიანო. 6. აბელი. 8. პრომეთე. 11. არტისტი. 12. ხმა. 13. შტო. 16. შფოთი. 17. ქვორუმი. 18. ანეკდოტი. 19. პიონერი. 20. სვეტი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1500 რუბლი, შ. პ. კუპონებში.

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99 93-18-41